მოხალისეობა განვითარებისთვის

ქართველ სტუდენტებს შორის მოხალისეობის ხელშეწყობა და წახალისება

პოლიტიკის დოკუმენტი

თბილისი

2016

ავტორები:

ნინო ზუბაშვილი

მარიამ ლონდარიძე

დოკუმენტი მომზადებულია კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-საქართველოს (CRRC-საქართველო) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა (CSI) და ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „საზოგადოებრივი ორგანიზაციები უკეთესი რეფორმებისთვის“ ფარგლებში.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ წარმოადგენდეს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა და ევროკავშირის მოსაზრებებს.

© CRRC-საქართველო

მიმოხილვა

ბოლო ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა მოხალისეობის მნიშვნელობა: ერთი მხრივ, დემოკრატიული და მდგრადი განვითარებისთვის, რამდენადაც მოხალისეობა ხელს უწყობს მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას, ხელს უწყობს მოქალაქეთა სამოქალაქო აქტივობის ზრდას, ნდობისა და სოლიდარობის გრძნობის გაძლიერებას საზოგადოებაში, მეორე მხრივ კი, ეკონომიკური განვითარებისთვის, რამდენადაც მოხალისეთა შრომის მეშვეობით ქვეყანა უზარმაზარ ფინანსურ რესურს ზოგავს; გარდა ამისა, მოხალისეობის შედეგად მიღებული გამოცდილება ზრდის ინდივიდების დასაქმების შანსებს ფორმალურ სექტორში.

საქართველოსთვის, რომელიც დემოკრატიული განვითარების გზაზეა და რომლისთვისაც უმუშევრობა ერთ–ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა, მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება, რომელიც, დღესდღეობით, განვითარების საკმაოდ დაბალ საფეხურზეა, შესაძლოა იყოს საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისა და უმუშევრობის აღმოფხვრის ერთ–ერთი წინაპირობა.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, მეორადი კვლევისა და თვისებრივი კვლევის შედეგად შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასება მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარების თვალსაზრისით და რეკომედაციების შემუშავება სტუდენტებში მოხალისეობის ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით.

როგორც კვლევამ აჩვენა, მოხალისეობის ინსტიტუტი საქართველოში დღეს ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორიცაა სამოქალაქო ცნობიერების დაბალი დონე, ინფორმაციის სიმწირე მოხალისეობის შესაძლებლობების შესახებ, მოხალისეობის პროგრამების მცირე ოდენობა და არსებულ პროგრამებში დაბალი ჩართულობა, სახელმწიფოს მხრიდან მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის ნაკლებობა და ა.შ. ამის გათვალისწინებით, მომზადდა რეკომენდაციები არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებისთვის. რეკომენდაციები, ძირითადად, ითვალისწინებს სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის მხრიდან იმ არეალების განსაზღვრას, სადაც შესაძლებელი და ეფექტური იქნება მოხალისეობრივი ძალის გამოყენება, მოხალისეობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, განხორციელებასა და კოორდინირებას, საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოებას.

სარჩევი

შესავალი 5

კვლევის მეთოდოლოგია 6

რატომ არის მნიშვნელოვანი მოხალისეობა 7

- მოხალისეობის მნიშვნელობა მოხალისის პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის 9
- მოხალისეობის მნიშვნელობა სამოქალაქო განვითარებისთვის 9
- მოხალისეობის ეკონომიკური მნიშვნელობა 11

მოხალისეობის ინსტიტუტი საქართველოში 11

- სახელმწიფო პოლიტიკა მოხალისეობის სფეროში: საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო 15
- მოხალისეობა ქართველ სტუდენტებს შორის 19

დასკვნა 28

რეკომენდაციები 29

შესავალი

არსებობს საერთო შეთანხმება იმის შესახებ, რომ მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება ქვეყნის დემოკრატიული და მდგრადი განვითარების საფუძველია, ვინაიდან მოხალისეობა ხელს უწყობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას, ზრდის მოქალაქეთა სამოქალაქო აქტივობას და ამტკიცებს ნდობასა და სოლიდარობას საზოგადოების წევრებს შორის. გარდა ამისა, მოხალისეობას აქვს უზარმაზარი ეკონომიკური ღირებულება ქვეყნისათვის, რადგან მოხალისეების მიერ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე შესრულებული სამუშაო საშუალებას აძლევს მთავრობას, ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, დაზოგონ ფინანსური რესურსები. მოხალისეობის შედეგად მიღებული გამოცდილება და დამყარებული პიროვნული თუ პროფესიული კავშირები კი ზრდის ინდივიდების, განსაკუთრებით - ახალგაზრდების დასაქმების შანსებს ფორმალურ სექტორში.

საქართველოში, სადაც დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბება ერთ–ერთი მთავარი ამოცანაა და უმუშევრობა, განსაკუთრებით - ახალგაზრდებში, ერთ–ერთი მწვავე პრობლემაა, მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დღესდღეობით, მოხალისეობის დონე საკმაოდ დაბალია როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე, კერძოდ, ახალგაზრდებშიც, ახალგაზრდობა (რომელიც, ძირითადად, განისაზღვრება 15-დან 29 წლამდე) კი, ბევრ ქვეყანაში, მოხალისეების ძირითად „ბირთვს“ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაამტკიცა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც მოხალისეობა განიხილება როგორც ერთ–ერთი სტრატეგიული მიმართულება, სახელმწიფოს არ აქვს მოხალისეობის განვითარების პოლიტიკა და სტრატეგია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება, რომელიც განიხილავს ქვეყნის ახალგაზრდებს შორის მოხალისეობის განვითარების შესაძლო გზებს. ახალგაზრდებზე და, კერძოდ, სტუდენტებზე ორიენტირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრძელვადიანი სამოქალაქო პოლიტიკის დაგეგმვისათვის, რომელიც, მათ შორის, მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარებას ითვალისწინებს, რადგან ეს ის სამიზნე ჯგუფია, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ქვეყნის მომავალი დემოკრატიული განვითარება.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია გააანალიზოს მოხალისეობის მნიშვნელობა, მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში არსებული მდგომარეობა და, ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიმუშაოს რეკომედაციები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისთვის სტუდენტების მოხალისეობის ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტის მომზადების მიზნით შესწავლილ იქნა არსებული მონაცემთა ბაზები და ლიტერატურა (თეორიული ლიტერატურა და კვლევების ანგარიშები) და შეგროვდა ემპირიული მონაცემები ფოკუს ჯგუფებისა და ნაწილობრივ სტრუქტურირებული საექსპერტო ინტერვიუების გამოყენებით, კერძოდ:

- **მეორადი კვლევა**

  მეორადი კვლევის მიზანი იყო საქართველოს და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავებისას, კერძოდ - წარმატებული და წარუმატებელი პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით. კვლევის ამ ეტაპზე შესწავლილი ლიტერატურის სია წარმოდგენილია ბიბლიოგრაფიის სექციაში. არსებული სიტუაციის შეფასებისა და გაანალიზების მიზნით მეორადი კვლევის ფარგლებში, აგრეთვე, შეგროვდა მოხალისეობის თემაზე საქართველოში ჩატარებული ემპირიული კვლევების მონაცემები: CRRC-ის გამოკითხვის, *კავკასიის ბარომეტრის* 2013 და 2015 წლების მონაცემთა ბაზები და CRRC-საქართველოს გამოკითხვის, *მოხალისეობა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში,* 2014 წლის მონაცემთა ბაზა.

- **ფოკუს ჯგუფები**

  2016 წლის 29 იანვრიდან 10 თებერვლამდე ჩატარდა ათი ფოკუს-ჯგუფი სტუდენტებთან, რომლებიც სწავლობენ საქართველოს ხუთ, მოსახლეობის მიხედვით ყველაზე დიდ ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი და გორი. ყველა მათგანში ჩატარდა ორ-ორი ფოკუს-ჯგუფი შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის სტუდენტებთან: ერთი ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტებს წარმოადგენდნენ სტუდენტები, რომელთაც ჰქონდათ მოხალისეობის გამოცდილება, ხოლო მეორე ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტებს წარმოადგენდნენ სტუდენტები, რომელთაც ასეთი გამოცდილება არ ჰქონდათ. სულ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო 86-მა სტუდენტმა. ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა სტუდენტების განწყობები და დამოკიდებულება მოხალისეობისადმი, შესაძლებელი გახდა არსებული პრობლემების რესპონდენტების თვალით დანახვა და ამ პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზების იდენტიფიცირება.

  ფოკუს-ჯგუფების რესპონდენტების შერჩევა CRRC-საქართველოს რეკრუტერების მიერ მოხდა. რაც შეეხება სტუდენტებს, რომელთაც ჰქონდათ მოხალისეობის გამოცდილება, შერჩევის პირველ ეტაპზე მოხალისეებთან მომუშავე ორგანიზაციებიდან მიღებულ იქნა პოტენციური რესპონდენტების საკონტაქტო

ინფორმაცია, პოტენციური რესპონდენტები კი ასახელებდნენ მოხალისეობის გამოცდილების მქონე სხვა სტუდენტებს (ე.წ. snowball sampling). რაც შეეხება სტუდენტებს, რომელთაც არ ჰქონდათ მოხალისეობის გამოცდილება, რეკრუტერებმა ისინი შეარჩიეს შესაბამისი ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის სტუდენტებისგან გენდერული ბალანსის დაცვით. ფოკუს-ჯგუფები ჩაატარეს CRRC-საქართველოს მკვლევარებმა.

- ### ნაწილობრივ სტრუქტურირებული საექსპერტო ინტერვიუები

  2016 წლის 18 თებერვლიდან 11 მარტამდე ჩატარდა 12 საექსპერტო ინტერვიუ მოხალისეობის სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან. ამ ინტერვიუების მიზანი იყო საქართველოში მოხალისეობის სფეროში არსებული სიტუაციის უკეთ შესწავლა და პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება. გამოკითხული ექსპერტები წარმოადგენენ სამთავრობო დაწესებულებებს (3 ექსპერტი), ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს (6 ექსპერტი) და საქართველოში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს (3 ექსპერტი). ყოველი ორგანიზაციიდან მხოლოდ ერთ წარმომადგენელთან ჩატარდა ინტერვიუ. ერთი ინტერვიუ ჩატარდა ქ. ქუთაისში, ერთი - ქ. გორში, დანარჩენი კი - ქ. თბილისში. ინტერვიუები CRRC-საქართველოს მკვლევარებმა ჩაატარეს.

რატომ არის მნიშვნელოვანი მოხალისეობა

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ჩატარებული კვლევები (IFRCRCS, 2012; Wu, 2011; UNV, 2011; EP, 2008; Nelson, 2005; CoE, 2001 და ა.შ.) სისტემატურად აჩვენებს მოხალისეობის სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მნიშვნელობას, მის როლს დემოკრატიული განვითარების, სამოქალაქო ცნობიერების და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების, სოციალური კაპიტალის დაგროვების, ეკონომიკური რესურსების დაზოგვის, თავად მოხალისის პიროვნული და პროფესიული განვთარების და მისი დასაქმების შანსების ზრდის, მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესში.

მოხალისეობის განმარტებები და გამოხატვის ფორმები შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა კულტურაში, მაგრამ ღირებულებები, რომელზეც ის დგას, საერთოა: ეს არის სურვილი წვლილი შეიტანო საზოგადოებრივ კეთილდღეობაში საკუთარი ნებითა და სოლიდარობის გრძნობით, ყოველგვარი მატერიალური ანაზღაურების მოლოდინის გარეშე.

გაეროს მოხალისეები, 2011

მოხალისეობის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ფაქტი, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2001 წელი მოხალისეობის საერთაშორისო წლად გამოაცხადა, ისახავდა რა მიზნად ცნობიერების ამაღლებას მოხალისეობის მნიშვნელობის შესახებ და მოხალისეობის პოპულარიზაციას მსოფლიოს მასშტაბით, და ეყრდნობოდა რა ხედვას, რომ მოხალისეობრივი საქმიანობა მოიცავს არა მარტო სხვის დახმარებას, არამედ აგრეთვე მოხალისეების სწავლის პროცესს, ის ეხმარება მოხალისეებს მიიღონ ცხოვრებისეული გამოცდილება, გამოიმუშაონ სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობა და, ხშირ შემთხვევაში, პროფესიული უნარ-ჩვევები. აღიარებს რა მოხალისეობის მრავალმხრივ მნიშვნელობას, გაეროს გენერალური ასამბლეის 2002 წლის რეზოლუცია აცხადებს, რომ მოხალისეობა სიღარიბის აღმოფხვრის, მდგრადი განვითარების, ჯანდაცვის, კატასტროფების მართვისა და სოციალური ინტეგრაციის სტრატეგიების აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს (UNV, 2010). შეიძლება ითქვას, რომ გაეროს მიერ 2001 წლის მოხალისეობის წლად გამოცხადებამ შედეგი გამოიღო იმდენად, რამდენადაც 2001 წლიდან 9 წლის განმავლობაში მოხალისეობის შესახებ 70 ახალი კანონი და პოლიტიკა შემუშავდა მსოფლიოს მასშტაბით, როგორც სახელმწიფოების ინიციატივით, ისე არასამთავრობო სექტორის აქტიურობის შედეგად.

მოხალისეობის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკისთვის, როგორც მატერიალური რესურსების დაზოგვის თვალსაზრისით, ისე მოხალისეთა შემდგომი დასაქმების პერსპექტივების ზრდის თვალსაზრისით, ხაზს უსვამს ევროპის საბჭოც. ევროპის საბჭო განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მოხალისეობის მნიშვნელობაზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, რომლებიც დემოკრატიული წყობის მშენებლობის ფაზაში არიან. გამომდინარე რწმენიდან, რომ მოხალისეები, თავიანთი საქმიანობით, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დემოკრატიული განვითარების პროცესში, ევროპის საბჭო მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, დაძლიონ ყველა სამართლებრივი თუ ტექნიკური სახის დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ინდივიდებს მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩაერთონ და აღიარონ მოხალისეობის დემოკრატიული, ჰუმანიტარული, სოციალური, საგანმანათლებლო, და ეკონომიკური ღირებულება და მნიშვნელობა (CoE, 2001).

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც სისტემატურად იკვლევს ორგანიზაციის მოხალისეების მუშაობას მსოფლიოს მასშტაბით, აცხადებს, რომ მოხალისეობა უაღრესად მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელიც ეხმარება ამა

თუ იმ საზოგადოებას, გაითვალისწინოს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები, შესაბამისად, მოხალისეობის განვითარება და მართვა ინტეგრირებული უნდა იყოს სახელმწიფოების სხვადასხვა პროგრამებსა და სხვადასხვა ორგანიზაციის ორგანიზაციული განვითარების გეგმებში (IFRCRCS, 2007). გარდა ამისა, მოხალისეების შრომამ უზარმაზარი წვლილი შეიძლება შეიტანოს მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაში და სოციალური გარიყვის აღმოსაფხვრაში, იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფს, რომელიც გარკვეულწილად მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნება (მაგალითად, ქალები, ახალგაზრდები, მოხუცებულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები და ა.შ.), მოხალისეობა აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი, რაც ხელს უწყობს მათ ინტერგაციას საზოგადოებაში (UNV, 2011).

მოხალისეობის მნიშვნელობა მოხალისის პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის

გაეროს მოხალისეობის წლის (2001) შემაჯამებელ დოკუმენტში მოხალისეობის პიროვნულ სარგებელთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შედეგად მოხალისე იღებს პრაქტიკულ ცოდნას და ივითარებს პიროვნულ და პროფესიულ უნარებს. მოხალისეობა ეხმარება ინდივიდებს გახდნენ უფრო თავდაჯერებული და აფართოებს მათ სოციალურ წრეს. კვლევები ადასტურებს, რომ მოხალისეების სოციალური წრე უფრო ფართოა არამოხალისეებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რამდენ დროს უთმობენ ისინი მოხალისეობას, მიუხედავად მათი განათლების დონისა, დასაქმებისა და სხვ. (Wuthnow, 1998).

მოხალისეობა მნიშვნელოვანია იმდენადაც, რამდენადაც დასტურდება კავშირი მოხალისეობის გამოცდილებასა და პროფესიულ განვითარებას, დასაქმების შესაძლებლობებს შორის, თუმცა ეს კავშირი უფრო ხშირად ირიბია, ვიდრე პირდაპირი და მოხალისეობის გამოცდილება, შესაძლოა, დასაქმების უშუალო პერსპექტივას არ გულისხმობდეს. მოხალისეობა უვითარებს ინდივიდებს დასაქმებისათვის საჭირო უნარებს და სძენს შესაბამის გამოცდილებასა და პროფესიულ კონტაქტებს, რაც შემდეგ მათ დასაქმებაში ეხმარება (Wilson and Musick, 2000; Sax and Astin, 1997).

მოხალისეობის დამატებითი სარგებელი არის ისიც, რომ ის ხელს უწყობს ინდივიდის ტრანსფორმაციას, თვითიდენტიფიკაციას, სხვადასხვა კულტურის მატარებელ ინდივიდებს შორის ურთიერთგაგების დამკვიდრებას, როგორც პიროვნული, ისე პროფესიული კავშირების დამყარებას და სოციალური პრობლემების გადაჭრის უნარების შეძენას.

მოხალისეობის მნიშვნელობა სამოქალაქო განვითარებისთვის

არაერთი ნაშრომი განიხილავს და ადასტურებს მოხალისეობის მნიშვნელობას მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე საზოგადოების განვითარებისა და სოციალური კაპიტალის

დაგროვებისათვის. ერთ–ერთი კვლევის თანახმად, პოლემიკას მოხალისეობის როლის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების შენებასა და გაძლიერებაში ადგილი აქვს არა მხოლოდ პოსტ-საბჭოთა საზოგადოებებში, რომლებიც მონაწილეობითი პოლიტიკის სისტემის ჩამოყალიბებას ცდილობენ, არამედ განვითარებულ დემოკრატიებშიც, რომლებშიც სამოქალაქო აქტივიზმი სულ უფრო და უფრო მცირდება (Wilson and Musick, 2000).

მართლაც, ამერიკის საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის დეფიციტზე მსჯელობისას, რობერტ პატნემი თავის ნაშრომში ასკვნის, რომ მოხალისეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული პოლიტიკის სიცოცხლისუნარიანობისთვის. ჯერ კიდევ ტოკვილს სჯეროდა, რომ მოხალისეობრივი ასოციაციების აქტიური წევრობა აყალიბებს ნდობას საზოგადოებაში, რომელიც სცდება ნათესაურ და მეგობრულ კავშირებს, და რომ სწორედ ასეთ ნდობას ემყარება დემოკრატიული პოლიტიკური წყობა. მსგავს კავშირს ნამდვილად ადასტურებს თანამედროვე კვლევებიც, რომელთა თანახმადაც მოხალისეობრივი ორგანიზაციის აქტიური წევრობა და მოხალისეობის გამოცდილება დადებით კავშირშია ადგილობრივ პოლიტიკაში აქტიურობასთან (David Knoke, Convey et al., 1996; Youniss, 1999).

პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის საშუალებად ბენჯამინ ბარბერს (1984) მიაჩნდა ისეთი გზების გამოყენება, რომლებიც საჯარო ცხოვრებაში მოქალაქეთა პირდაპირ ჩართულობას გულისხმობს, ერთ-ერთ ასეთ გზად კი მიიჩნევდა ეროვნული მოხალისეობრივი სამსახურის ჩამოყალიბებას. მას მიაჩნდა, რომ მოხალისეობრივ ასოციაციებში მონაწილეობით ინდივიდები გამოიმუშავებენ სამოქალაქო ცხოვრებისადმი პატივისცემას და უკეთ გაიაზრებენ თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობებს.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო საზოგადოების ანგარიშის მიხედვით, მოხალისეობა წარმოადგენს სოციალურ ღირებულებას თემისთვის, ისევე, როგორც თვითონ მოხალისისა და ორგანიზაციისთვის. მოხალისეობის მნიშვნელობა თემისთვის გულისხმობს იმას, რომ ის ავითარებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას და ქმნის გარემოს, რომელშიც მოქალაქეებს შეუძლიათ პირდაპირი ჩართულობით ხელი შეუწყონ ცვლილებებს. მოხალისეობა ავითარებს სოციალურ სოლიდარობას, ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის დაგროვებას და შეიძლება იყოს სოციალური ინკლუზიისა და ინტეგრაციის საშუალება. გარდა ადამიანური რესურსების ფაქტორისა, მოხალისეების ღირებულება ორგანიზაციისთვის, ისევ და ისევ, ეკონომიკურ ღირებულებას უკავშირდება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ორგანიზაცია ვერ შეძლებდა იმ სერვისების მიწოდებას საზოგადოებისთვის, რასაც მოხალისეების დახმარებით ახერხებს. ღირებულებას თავად მოხალისეებისთვის კი წარმოადგენს თვითრეალიზაციის საშუალება, პროფესიული უნარების შეძენა და ორგანიზაციისადმი კუთვნილების გრძნობა (IFRCRCS, 2012).

მოხალისეობის ეკონომიკური მნიშვნელობა

როგორც არაერთხელ აღინიშნა წინამდებარე დოკუმენტში, მოხალისეობრივი საქმიანობა ზოგავს დიდ ეკონომიკურ რესურსს როგორც სახელმწიფოსთვის, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და, გარდა ამისა, ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას იმ თვალსაზრისითაც, რომ მოხალისეებში ჩადებული ინვესტიცია არაფორმალური განათლების, ტრენინგებისა თუ სხვა სახის მოსამზადებელი კურსების სახით, ხშირ შემხვევაში, ხელს უწყობს მოხალისეების პროფესიული უნარების განვითარებას და ზრდის მათი დასაქმების შანსებს (Nelson, 2011; Wu, 2011, ect).

ჯონ ჰოფკინსის უნივერსიტეტის კვლევის მიხედვით, მოხალისეები უზარმაზარ ეკონომიკურ რესურსს წარმოადგენენ და მოხალისეების ქვეყანა რომ არსებობდეს, ის მსოფლიოში სრულწლოვანი მოსახლეების რაოდენობით მეორე ადგილზე, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით კი მეშვიდე ადგილზე იქნებოდა (Salamon, M., Sokolowski, S., Haddock, M, 2001). მოხალისეობის უზარმაზარ ეკონომიკურ ღირებულებაზე ამახვილებს ყურადღებას სხვადსხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს მოხალისეობის თემაზე ჩატარებული კვლევებიც. ერთ-ერთი ასეთი კვლევის მიხედვით, აშშ–ის მოხალისეები, ყოველწლიურად, საშუალოდ 161 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების სამუშაოს ასრულებენ (Wu, 2011). ევროპის ბევრ ქვეყანაში, მოხალისეების შრომის ეკონომიკური ღირებულება მთლიანი შიდა პროდუქტის ერთიდან ორ პროცენტამდე მერყეობს, ისეთ ქვეყნებში კი, როგორებიცაა ავსტრია, ნიდერლანდები და შვედეთი, ეს მაჩვენებელი ოთხ პროცენტამდე ადის (GHK, 2010).

მოხალისეობის ინსტიტუტი საქართველოში

დღესდღეობით ითვლება, რომ საქართველოში მოხალისეობის ინსტიტუტი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. კვლევების შედეგები აჩვენებს (CRRC-საქართველო, 2014; ჰელფინგ ჰენდი და სხვ. 2013; EPF, 2012; აბაშიძე და აბაშაშვილი, 2011; ნაცვლიშვილი, 2011), რომ ქვეყანაში არსებობს გარკვეული დაბრკოლებები მოხალისეობის განვითარებისთვის, როგორიცაა:

- მოხალისეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სიმწირე;
- განვითარებულ დემოკრატიებთან შედარებით, სახელმწიფოს მხრიდან მოხალისეობრივი საქმიანობის ნაკლები ხელშეწყობა;
- მოხალისეობრივი პროგრამების/აქტივობების ნაკლებობა;

- საზოგადოებაში არსებული მცდარი წარმოდგენები და უარყოფითი დამოკიდებულება მოხალისეობის მიმართ.

CRRC-ის *კავკასიის ბარომეტრის* 2012-2015 წლების გამოკითხვებიდან ჩანს შეუსაბამობები იმას შორის, თუ რა დამოკიდებულებას აფიქსირებს საქართველოს საზოგადოება მოხალისეობისადმი და როგორია მოხალისეობის რეალური დონე. მოხალისეობის დონე საქართველოში 2012 წლიდან მცირედით გაიზარდა, თუმცა ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალი რჩება. თუ 2012 წელს საქართველოს მოსახლეობის 14% ჰქონდა შესრულებული მოხალისეობრივი სამუშაო, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 21%–მდე გაიზარდა. ამ ფონზე, საკმაოდ მაღალი იყო ბოლო წლებში მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ მოხალისეობა მნიშვნელოვანია კარგი მოქალაქისთვის: თუ 2012 წელს ასე ამბობდა მოსახლეობის 65%, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 73%–მდე გაიზარდა.



წყარო: CRRC-საქართველოს ბლოგ პოსტი *მოხალისეობა საქართველოში 2013-2015 წლებში: დამოკიდებულებები და პრაქტიკა.*

2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობის შემდეგ მოხალისეთა მაღალი აქტივობის შედეგად გაჩნდა ვარაუდი, რომ მოხალისეობის დონე ქვეყანაში გაიზრდებოდა. CRRC–ის *კავკასიის ბარომეტრის* 2013 და 2015 წლების გამოკითხვების შედეგები აჩვენებს, რომ 13 ივნისის სტიქიის შემდეგ მოხალისეობის დონის მცირედი ზრდა იყო მხოლოდ თბილისში. თუ 2013 წელს თბილისის მოსახლეობის 14%-ს ჰქონდა შესრულებული მოხალისეობრივი საქმიანობა, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 21%-მდე გაიზარდა. მოხალისეობის დონე მცირედით გაიზარდა

ახალგაზრდებშიც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისევე, როგორც უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეებში.



წყარო: CRRC-საქართველოს ბლოგ პოსტი *მოხალისეობა საქართველოში 2013-2015 წლებში: დამოკიდებულებები და პრაქტიკა.*

მართალია, საქართველოში მოხალისეობის დონე დაბალია და არსებობს გარკვეული დაბრკოლებები მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარებისთვის, ზოგიერთი ტენდენცია, მაგალითად საზოგადოების შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ მოხალისეობა მნიშვნელოვანია, მოხალისეთა აქტიურობა 13 ივნისის სტიქიის შემდეგ და ა.შ. მიუთითებს მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარების შესაძლებლობებზე. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს 2015 წელს თბილისში ჩატარებული ზაფხულის ევროპული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფომ ბევრი მოხალისის მობილიზება შეძლო და ამით დიდი ეკონომიკური რესურსიც დაზოგა.

გარდა ამისა, როგორც მოხალისეობის შესახებ CRRC-საქართველოს კვლევის ანგარიშშია აღნიშნული, მოხალისეობის განვითარების წინაპირობას საქართველოში შეიძლება წარმოადგენდეს ქართულ საზოგადოებაში არსებული ძლიერი სოციალური ალტრუიზმი და შიდა–ჯგუფური სოლიდარობა. კვლევა ცხადჰყოფს, რომ მოქალაქეები, როგორც წესი, მოხარული არიან დახმარება შესთავაზონ სხვებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, რომ მეზობლები, მეგობრები და ნათესავები ხშირად ეხმარებიან ერთმანეთს და მოსახლეობის უმეტესობა აცხადებს, რომ მათ ეგულებათ ადამიანი, რომელიც უსასყიდლოდ დაეხმარებათ საჭიროების შემთხვევაში, ან ჰყავთ მეზობელი, რომელიც მოახდენს ხალხის მობილიზებას სამეზობლოში არსებული პრობლემის გადასაჭრელად (EPF and CRRC-Georgia, 2012).

ორგანიზაცია „Helping Hand"-ის მიერ საკუთარი მოხალისეებისა და, მოხალისეობასთან დაკავშირებით, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მოსაზრებებისა და გამოცდილების შესწავლის მიზნით 2013 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას, სავარაუდოდ, ინფორმაციის ნაკლებობა წარმოადგენს მოხალისეობის შესაძლებლობების შესახებ. იმ სტუდენტების უმეტესობას (73%), რომელთაც მოხალისეობის გამოცდილება არ ჰქონიათ, არ სმენიათ ისეთი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდებს მოხალისეობრივ საქმიანობას სთავაზობენ. მოხალისეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის არქონა სახელდება მოხალისეობაში ჩართვის ერთ-ერთ დაბრკოლებადაც (Helping Hand, 2013).

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებიც მიიჩნევენ, რომ მოხალისეობის ინსტიტუტი საქართველოში ჯერ არ არის განვითარებული. საქართველოში მოხალისეობის ინსტიტუტის შესახებ წარმოდგენილ მიმოხილვასა და ექსპერტების მოსაზრებებს თუ შევაჯამებთ, ეს ინსტიტუტი დღეს შემდეგი გამოწვევების წინაშე დგას:

- ინფორმაციის სიმწირე მოხალისეობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- მოხალისეობრივი პროგრამების/აქტივობების ნაკლებობა;
- მოხალისეების მიმღები ორგანიზაციების განვითარების დაბალი დონე;
- სახელმწიფოს მხრიდან მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის ნაკლებობა;
- ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

"ზოგადად, [მოხალისეობის] ინსტიტუტი არის საკმაოდ სუსტი საქართველოში. საკმაოდ ბევრი ნაბიჯი არის გადასადგმელი იმისთვის, რომ ამოქმედდეს, გახდეს უფრო ... პრესტიჟული. ძალიან ბევრ სირთულესთან არის ზოგადად... დაკავშრებული... პირველ რიგში არის ინფორმაციის ნაკლებობასთან..."

ექსპერტი, სამთავრობო სექტორი

"როდესაც ჩვენ გავაანალიზეთ რამდენიმეჯერ ახალგაზრდულ ჯგუფებთან, რატომ არ არის მასიური ხასიათის ესეთი მოხალისეობა, რატომ არ ერთვებიან ახალგაზრდები… დიდი ენთუზიაზმით ... პირველ რიგში [მიზეზი] ის არის, რომ ესეთი [მოხალისეობრივი] პროგრამები ძალიან ცოტაა სინამდვილეში. ... ის, რაც ხელს შეგვიწყობს მოხალისეობის განვითარებაში, ცოტაა, პროგრამების კუთხით".

ექსპერტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია

სახელმწიფო პოლიტიკა მოხალისეობის სფეროში: საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო

მოხალისეობის პოლიტიკა, ისევე, როგორც მოხალისეობრივი შრომის სამართლებრივი რეგულირება განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთ ქვეყანაში ხელისუფლებას გააჩნია მოხალისეობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ზოგან კი მოხალისეობის პოლიტიკა დამოუკიდებლად არ არსებობს, სხვადასხვა დარგობრივი პოლიტიკის ნაწილია და სხვადასხვა სტრატეგიასა თუ სამოქმედო გეგმაშია გაწერილი. იგივე შეიძლება ითქვას კანონმდებლობაზე. ზოგიერთ ქვეყანას მიღებული აქვს კანონი მოხალისეობის შესახებ, ზოგიერთ ქვეყანაში კი მოხალისეობრივ შრომასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები გაწერილია, ძირითადად, შრომის კანონმდებლობაში. ქვეყნების მიხედვით განსხვავდება ის სახელმწიფო ორგანოებიც, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოხალისეობის პოლიტიკის განხორციელებაზე.

საერთაშორისო დონეზე მოხალისეობის პოლიტიკას, ძირითადად, მულტილატერალური ორგანიზაციები განსაზღვრავენ (ევროპაში ასეთი ინსტიტუტი ევროკავშირია), რომელთა მიერ შემუშავებული მოხალისეობის პოლიტიკა წევრი ქვეყნებისთვის არ არის სავალდებულო, მაგრამ ასეთი დოკუმენტები ხელს უწყობს პოლიტიკური ნების კონსოლიდირებას წევრ ქვეყნებში. მას შემდეგ, რაც 1997 წელს ევროკავშირმა სცნო მოხალისეობის მნიშვნელობა, ის ცდილობდა წევრი ქვეყნების წახალისებას, რათა განევითარებინათ მოხალისეობის მარეგულირებელი კანონები და პოლიტიკა, და მუდმივად შეიმუშავებდა რეკომენდაციებს წევრი ქვეყნებისთვის მოხალისეობის ხელშესაწყობად. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის მუდმივმა ყურადღებამ ამ თემის მიმართ შედეგად გამოიღო ის, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან დღეს ბევრს მოხალისეობის კანონმდებლობა და პოლიტიკა აქვს (UNV, 2011). მოხალისეობის განვითარებისთვის

სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლებრივი გარემოს მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევამთვარის საერთაშორისო საზოგადოებამაც 1999 წელს, როდესაც ორგანიზაციამ შეიმუშავა რეკომენდაციები თავისი ეროვნული წარმომადგენლობებისათვის, გადაეხედათ არსებული პოლიტიკისთვის მოხალისეობის სფეროში. 2002 წელს ორგანიზაციამ *მოხალისეობის პოლიტიკის განხორციელების გზამკვლევიც* შეიმუშავა, რომელიც ეყრდნობოდა ხედვას, რომ სახელმწიფოს არა მხოლოდ პოლიტიკის შემუშავების პასუხისმგებლობა აკირსია, ის თავად უნდა იყოს წამყვანი აქტორი მოხალისეთა მობილიზებისა და მართვის თვალსაზრისით (IFRCRCS, 2007).

თავისუფლების ინსტიტუტისა და ევროპის ფონდის (წარსულში - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი) 2012 წლის კვლევაში „მოხალისეობა - საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და საქართველოს კანონმდებლობის რეფორმა“ განხილულია სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკა მოხალისეობის მართვის მიმართულებით. ევროპის ქვეყნებში მოხალისეობის რეგულირების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი მიდგომა: ყოვლისმომცველი რეგულირება და მინიმალური რეგულირება. ზოგიერთ ქვეყანაში უფლებამოსილებები მკვეთრად ცენტრალიზებულია და ეკისრება რომელიმე სამინისტროს (ასეთია, ძირითადად, სამინისტროები, რომელიც მუშაობენ შრომის ბაზრის, რეგიონული განვითარების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და სოციალურ საკითხებზე, თუმცა ყველაზე ხშირად მოხალისეობის კოორდინაცია შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტროების პასუხისმგებლობაში შედის) ან სპეციალურად ჩამოყალიბებულ ორგანოს, როგორიცაა, მაგალითად, მოხალისეობის ეროვნული ცენტრი უნგრეთში, მოხალისეთა უმაღლესი საბჭო ბელგიაში ან ეროვნული და სათემო სამსახურის კორპორაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ზოგან კი მკვეთრი დეცენტრალიზაციაა და ცალკეული სამინისტროები თავად შეიმუშავებენ მოხალისეობის პოლიტიკას საკუთარი საქმიანობის ფარგლებში;

ქვეყნები განსხვავდება იმის მიხედვითაც, გააჩნიათ თუ არა მოხალისეობის სტრატეგია. ზოგიერთ ქვეყანაში, რომელსაც მოხალისეობის ეროვნული სტრატეგია გააჩნია (ესტონეთი, ნიდერლანები, ლატვია, ა.შ.), ზოგიერთ შემთხვევაში, ეს სტრატეგიები უფრო ფართო ეროვნული სტრატეგიის ნაწილია, მაგალითად, სოციალური სერვისების განვითარების ეროვნული სტრატეგიების კონტექსტში განიხილება ან სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების სახელმწიფო პროგრამებში, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კონცეფციაშია გათვალისწინებული. ზოგიერთ ქვეყანაში კი მოხალისეობის სტრატეგია არ არის შემუშავებული, რის გამოც, ხშირად, ხელისუფლება მოხალისეობის პოლიტიკის განხორციელების დროს კოორდინაციის პრობლემების წინაშე დგება.

საქართველოში მოხალისეობის განვითარების შემაფერხებელ ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად სამართლებრივი რეგულაციების არარსებობა ითვლებოდა. მოხალისეობრივ შრომასთან დაკავშირებული რეგულაციები არ იყო გაწერილი არც შრომის ბაზრის, არც არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში.

შესაბამისად, საქართველოში მოხალისეობის განვითარების მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 2015 წლის 24 დეკემბერს მიღებული იქნა **კანონი მოხალისეობის შესახებ.** ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე მოხალისისა და მოხალისის მიმღები ორგანიზაციის ურთიერთობას და მათ მესამე პირთან ურთიერთობას იმ შემთხვევაში, თუ ეს საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით არ რეგულირდება.

მოხალისეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე არსებული ლიტერატურა, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს მოხალისეობის ცნების განსაზღვრაზე. საქართველოს კანონი მოხალისეობის შესახებ განმარტავს მოხალისეობას, როგორც „კანონით დადგენილი ორგანიზაციული მოწესრიგების ფარგლებში ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ცოდნითა და უნარით, ნებაყოფლობით და უანგაროდ განხორციელებულ საზოგადოებრივად სასარგებლო სამიანობას“. შემდგომში კანონი განმარტავს ასევე ცნებას „საზოგადოებრივად სასარგებლო სამიანობა“ და ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ კანონი არ ზღუდავს ფიზიკურ პირს, დამოუკიდებლად განახორციელოს მსგავსი საქმიანობა. კანონში ასევე დადგენილია მოხალისის ასაკთან და მოხალისეობრივი საქმიანობის საათებთან დაკავშირებული რეგულაციები, ორგანიზაციის სახეები, რომელთაც შეუძლიათ გამოიყენონ მოხალისეთა შრომა, მოხალისისა და მოხალისის მიმღები ორგანიზაციის უფლებები და მოვალეობები, ორგანიზაციების პასუხისმგებლობა, აანაზღაურონ მოხალისეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყონ მოხალისის უსაფრთხოება, ა.შ.

გასაკვირი არცაა, რომ კანონის მიღება დადებითად შეფასდა კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების მიერ. ექსპერტები თანხმდებიან, რომ კანონი დასახვეწია, მაგალითად, იმ თვალსაზრისით, რომ მოხალისის სამივლინებო ხარჯები არ უნდა დაიბეგროს; მოხალისეების მიმღებ ორგანიზაციებს უნდა დაუწესდეს საგადასახადო შეღავათები. აღინიშნება, ასევე, რომ აუცილებელია კანონის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის. ამის აუცილებლობაზე მეტყველებს კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებიც, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

“...აუცილებელი იყო კანონის მიღება, იმიტომ რომ [მოხალისეები] ფაქტიურად უხილავი არსებები იყვნენ, რომლებსაც არ ჰქონდათ არც არანაირი მხარდაჭერის პაკეტი სახელმწიფოს მხრიდან აქამდე... ძალიან ბევრი პრობლემა იყო ამ თვალსაზრისით”.

ექსპერტი, სამთავრობო ორგანიზაცია

სახელმწიფოს მხიდან მოხალისეობის მნიშვნელობის აღიარებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ქვეყნის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში მოხალისეობა ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად არის აღიარებული. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ”მოხალისეობა არაფორმალური განათლების ფარგლებში მოქმედი ერთ-ერთი ეფექტური

ინსტრუმენტია, რომლის მიზანია ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების საკეთილდღეოდ უანგარო შრომის უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება“. ახალგაზრდულ პოლიტიკაში მოხალისეობის კომპონენტის გათვალისწინება ფართოდ მიღებული პრაქტიკაა საერთაშორისო დონეზეც. 2002 წელს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა აღიარეს მოხალისეობა, როგორც ახალგაზრდული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი, ხოლო 2004 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ახალგაზრდობის სამინისტროებმა რეზოლუციაც კი მიიღეს, სადაც განისაზღვრა ის ძირითადი ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადადგმულიყო წევრ ქვეყნებში ახალგაზრდებს შორის მოხალისეობის წახალისების მიზნით (GHK, 2010).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გამოთქვა ამის მზადყოფნა, ქვეყანაში ჯერ არ არსებობს მოხალისეობის განვითარების სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა. თუმცა, 2015 წელს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, რომელიც პასუხისმგებელია ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაზე, შეიმუშავა მოხალისეობის განვითარების პროგრამა „საქართველოს მოხალისე“, რომელიც, ძირითადად, ახალგაზრდებზეა ორიენტირებული და უკვე მეორე წელია მიმდინარეობს. ეს იყო სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პირველი მსგავსი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა შემდეგი პრობლემების დაძლევას:

- მოხალისეთა ქსელის არ არსებობა;
- მოხალისეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- მოხალისეობით დაინტერესებული ახალგაზრდების ნაკლებობა;
- რეგიონებში მოხალისეობის ინსტიტუტის სისტუსტე;
- მოხალისეობის შესახებ დამკვიდრებული მცდარი სტერეოტიპები;
- მოხალისეთა უნარჩვევების ნაკლებობა;
- მოხალისეთა ბაზის არ არსებობა.

ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს 10 რეგიონში კონკურსის საფუძველზე შეირჩა 10 რეგიონალური ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი რეგიონების მუნიციპალიტეტებში მოხალისეების შერჩევას და კოორდინირებას. საქართველოს 67 მუნიციპალიტეტში კონკურსის საფუძველზე შეირჩა 134 მოტივირებული მოხალისე. შერჩეულმა ახალგაზრდებმა ერთი წლის ვადით მიიღეს „საქართველოს მოხალისის" სტატუსი. მათ განახორციელეს ინდივიდუალური აქტივობები საკუთარ რეგიონებში. ამას გარდა, იქმნება მოხალისეების ერთიანი ეროვნული ბაზა და მოხალისეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ერთიანი ბაზა.

"სახელმწიფოს მხრიდან კარგი რაც გაკეთდა [არის] ის, რომ კანონი მოხალისეობის შესახებ, რომ ნამდვილად დამტკიცდა და სტატუსი, როგორც მოხალისის, აღიარებულია და სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის დოკუმენტშიც ეს ხაზგასმულია. ანუ ცოტათი მზაობა სახელმწიფოს მხრიდან არის ფაქტობრივად, და ახლა ჯერი იმაზეა, რომ იმუშავონ ინსტიტუტებმა იმაზე, რომ ცნობიერების ამაღლება მოხდეს ახალგაზრდების. და მაინც ვთვლი, რომ ჯერ ეს ის დონე არ არის მოხალისეობის, რაც უნდა იყოს".

ექსპერტი, სამთავრობო სექტორი

მოხალისეობა ქართველ სტუდენტებს შორის

კვლევის ფარგლებში CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგები აჩვენებს, რომ ფოკუს ჯგუფში მონაწილე სტუდენტების მოხალისეობის საკმაოდ ერთფეროვანი გამოცდილება აქვთ, რაც მოიცავს როგორც მოხალისეობრივი საქმიანობის ორგანიზებას, ისე მონაწილეობას სხვის, ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ მოხალისეობრივ საქმიანობაში. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პროგრამა „საქართველოს მოხალისე" დასახელდა თითქმის ყველა ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას, რაც ამ პროგრამის ეფექტურობაზე მეტყველებს. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად რესპონდენტების მიერ დასახელებული მოხალისეობრივი საქმიანობა მოიცავს პროექტის წერას/დაგეგმვას, პროექტის მართვას/კოორდინირებას, ტრენერად მუშაობას, და ა.შ., რაც სტუდენტებს პროფესიული უნარების განვითარებაში ეხმარება.

მოხალისეობის გამოცდილების მქონე რესპონდენტებს შორის ბევრმა მოხალისეობა დაიწყო სკოლის ასაკში (ძირითდად IX – XI კლასებში), ნაწილმა კი - სტუდენტობის პერიოდში. მოხალისეობის პირველ გამოცდილებამდე, მოხალისეობის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროებად დასახელდა:

- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც საინფორმაციო ხასიათის ვიზიტებით იმყოფებოდნენ მათ სკოლასა თუ უნივერსიტეტში;
- სკოლის მასწავლებლები/დირექტორები (ძირითადად რეგიონებში);
- მეგობრები/ოჯახის წევრები/ახლობლები.

"დაახლოებით მეცხრე კლასში ვიყავი, თუ არ ვცდები, როცა „დავითიანნი" მოვიდა ჩვენთან სკოლაში. კლასიდან ირჩევდნენ რამოდენიმე ბავშვს ... და ის ბავშვები მერე ხდებოდნენ წევრები ორგანიზაციის. და აქედან დაიწყო, რომ რასაც თავიდან თვითონ ახორციელებდნენ რაღაც აქციებს და ჩვენც ვიყავით აქტიურად ჩართულები, მერე ჩვენი ინიციატივითაც ხდებოდა..."

თბილისი, მოხალისე, ქალი, 19 წლის

თითოეულ ქალაქში ფოკუს ჯგუფების ერთი მონაწილე მაინც აუცილებლად ახსენებდა 2015 წლის 13 ივნისის თბილისის წყალდიდობის მაგალითს. როგორც ჩანს, 13 ივნისის მოვლენებით გამოწვეულმა მოხალისეობრივმა აქტივობამ დიდი შთაბეჭდილება იქონია ქართველ სტუდენტებზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თბილისის წყალდიდობის შემდგომი მოხალისეობრივი აქტივობები უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მოხალისეობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, ბევრისთვის კი, შესაძლოა, სამაგალითოც აღმოჩნდა.

მოხალისეობის პირველ გამოცდილებაზე საუბრისას, სტუდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ მათი ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში არ იყო თავიდანვე გააზრებული და რომ თავდაპირველად ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას, თუ რას ნიშნავდა მოხალისეობა.

"თავიდან ძირითადად გააზრებული არ მქონდა კარგად, როცა დავითიანნში მივედი... ზოგადად რასთან იყო დაკავშირებული მოხალისეობა...."

თბილისი, მოხალისე, ქალი, დაუსაქმებელი, 20 წლის

თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები თანხმდებიან, რომ ინფორმაცია მოხალისეობის შესახებ ახალგაზრდებს უნდა მიეწოდოთ ადრეული ასაკიდან. მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ, ეს სკოლაში მოხდეს, შესაძლოა - სასწავლო პროგამაში მოხალისეობის კომპონენტის შეტანის მეშვეობით. აგრეთვე, მოსწავლეებს უნდა ჰწონდეთ მოხალისეობისეობრივი საქმიანობის შესრულების შესაძლებლობა, რაც არ უნდა იყოს სავალდებულო, რადგან ეს თავად მოხალისეობის არსს ეწინააღმდეგება. თუმცა, ზოგი რესპონდენტი იმის მომხრეც იყო, რომ ასეთი პროგრამის სავალდებულო იყოს. ფოკუს-ჯგუფში გამოითქვა მოსაზრება, რომ სკოლებმა მოსწავლეებს უნდა შეუქმნან პირობები მოხალისეობაში ჩართვისთვის, მაგალითად, სკოლებში უნდა შეიქმნას კლუბები, რომლებიც დაგეგმავენ და განახორციელებენ მოხალისეობრივ აქტივობებს, ეწყობოდეს შეხვედრები მოხალისეობის არსის და მოხალისეობის წარმატებული მაგალითების მოსწავლეებისთვის გასაცნობად.

მოხალისეობრივი საქმიანობის დაწყების მიზეზებზე საუბრისას სტუდენტები ხშირად არ გამოყოფენ ამის მხოლოდ ერთ კონკრეტულ მოტივს, არამედ ასახელებენ რამდენიმე მიზეზს ერთად. ხშირად მოხალისეობის დაწყების მოტივი ერთია, თუმცა გარკვეული გამოცდილების მიღების შემდეგ მოხალისეობის გაგრძელების სხვა მოტივები ჩნდება. ხშირ შემთხვევაში მოხალისეობრივი საქმიანობის გაგრძელების მოტივი საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმის კეთების სურვილში ხდება. მოხალისეობრივი საქმიანობის დაწყების მოტივებად, ძირითადად, დასახელდა შემდეგი:

- თვითრეალიზებისა და თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების სურვილი;
- გამოცდილების მიღების სურვილი;
- პიროვნული განვითარება;
- სხვისი დახმარების, სიკეთის კეთების სურვილი;
- საზოგადოებაში სხვადასხვა საკითხებზე ცნობიერების ამაღლების სურვილი;
- ინტერესი ახალი საქმისადმი;
- დადებითი ემოციები, რომლებსაც იღებენ მოხალისეობის შედეგად;
- ახალი სოციალური კავშირების დამყარება.

მსგავს შედეგებს აჩვენებს ზემოთ ნახსენები Helping Hand-ის კვლევაც, რომელთა თანახმადაც თავად ორგანიზაციის მოხალისეების მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის დაწყების მიზეზები იყო პიროვნული თვისებებისა და უნარების განვითარება (32%), შემდგომში დასაქმებაში დახმარება (30%), კეთილი საქმის უანგაროდ კეთების სურვილი (21%). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ მოხალისეთა ერთ მესამედს მიაჩნია, რომ მოხალისეობა დაეხმარა სამსახურის პოვნაში (Helping Hand, 2013).

"...ფაქტია, რო პიროვნულადაც ძაან დიდად გავიზარდე, გამოცდილებაც იყო და მართლა ძაან მნიშვნელოვანი კავშირების შეძენა..."

თბილისი, მოხალისე, კაცი, დასაქმებული, 18წლის

„სანაცნობო წრეს [იფართოვებ]. გიცნობენ არამარტო შენს ქალაქში, არამედ შენი ქალაქის ფარგლებს გარეთაც. უკვე მოსახლეობას აქვს შენს მიმართ ნდობა, როცა შენ კარგ საქმეს აკეთებ და ამას გიფასებენ, შემდეგ რაღაცა ახალს რომ წამოიწყებ, ეჭვის თვალით აღარ გიყურებენ. ეს ნამდვილად კარგი ფაქტორია".

ზუგდიდი, მოხალისე, დასაქმებული, ქალი, 20 წლის

მოხალისეობის სფეროში მიღებული გამოცდილების შეფასებისას სტუდენტები თანხმდებიან, რომ ამ საქმიანობას მათთვის დადებითი შედეგი მოაქვს. დადებით ფაქტორებად დასახელდა იგივე ფაქტორები, რამაც განაპირობა მათი ჩართულობა მოხალისეობრივ საქმიანობაში; ამ სიას ემატება პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კომუნიკაციის უნარის განვითარება, სამოქალაქო და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა, მეტი თავდაჯერებულობა საქმის კეთებისას.

დადებითთან ერთად, სტუდენტები საუბრობენ იმ უარყოფით გამოცდილებაზეც, რომელიც თან ახლავს მოხალისეობრივ საქმიანობას საქართველოში, და რომელიც, ძირითადად, მოხალისეობისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას უკავშირდება. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ხშირად ხალხი მოხალისეობას დროის ფუჭ კარგვად მიიჩნევს. არსებობს უნდობლობა მოხალისეების მიმართ, რადგან საზოგადოების ნაწილს არ სჯერა, რომ მოხალისეები უანგაროდ მუშაობენ. გარდა ამისა, საზოგადოებაში უნდობლობაა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომელთა საქმიანობასაც, უმეტეს შემთხვევებში, უკავშირდება რესპონდენტების მოხალისეობრივი გამოცდილება.

"ზებიას ასაკის ხალხი არ სვამს მარტო კითხვებს, მე მქონდა [შემთხვევა] მეგობრები მისვამდნენ ხოლმე და როცა ვეუბნებოდი, რომ ანაზღაურებადი არ არის და შევთავაზე რომ მოსულიყო და ძალიან დიდ გამოცდილებას [მიიღებდა] და რეკლამა გავუკეთე ძალიან ისეთი, მიუხედავად ამ ყველაფრისა, პასუხი მაინც ერთი იყო, რომ ტყუილა[დ] უნდა დავკარგო დრო, მირჩევნია წიგნი წავიკითხო, მეტი დრო დავუთმო ამას და ა.შ."

ბათუმი, მოხალისე, დასაქმებული, ქალი, 21 წლის

სტუდენტებმა ასევე ისაუბრეს იმ ბარიერებზე, რომლებსაც აწყდებიან სკოლებში მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულებისას. ძირითად ბარიერს წარმოადგენს ის, რომ სკოლის წარმომადგენლები ან უარს ეუბნებიან მოხალისეებს სკოლაში შეშვებაზე, ან უნდობლობით ეკიდებიან მათ საქმიანობას, რაც ურთულებს მოხალისეებს სკოლებში საქმიანობის განხორციელებას. ამ პრობლემის ძირითად გამომწვევ მიზეზებად კი სახელდება სკოლებში მომუშავე პირების არაინფორმირებულობა მოხალისეობასთან დაკავშირებით და უნდობლობა სხვადასხვა მოხალისეობრივი საქმიანობის შემსრულებელი ორგანიზაციების მიმართ, რაც, ზოგ შემთხვევაში, ხელისშემშლელი ფაქტორი იყო მოხალისეებისთვის. თუმცა, რესპონდენტთა ნაწილს სრულიად საპირისპირო გამოცდილება აქვს - მათ სკოლა ყოველთვის ხელს უწყობდა. ასეა თუ ისე, მიზანშეწონილი იქნება სახელმწიფოს და, განსაკუთრებით, განათლების სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან სკოლებში არსებული ზემოთხსენებული ბარიერების მოხსნის მიზნით.

გარდა ამისა, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა თქმით, მოხალისეობას, ზოგ შემთხევაში, არ მოაქვს სასურველი შედეგი, ან მოხალისეობრივი საქმიანობებით მიღწეული შედეგები ძნელი

შესანარჩუნებელია, რადგან ხალხი მალევე ივიწყებს ყველაფერს და გულგრილი ხდება. ამის გამო, ახალბედა მოხალისეებს ხშირად ეკარგებათ მოხალისეობის გაგრძელების მოტივაცია, რადგან ფიქრობენ, რომ მაინც ვერაფერს შეცვლიან. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ მოხალისეობრივი საქმიანობა იყოს სისტემატური, თანმიმდევრული და გრძელვადიანი.

მოხალისეობის გამოცდილების არმქონე სტუდენტებს უჭირთ განსაზღვრა, ჩაერთვებიან თუ არა მომავალში მოხალისეობრივ საქმიანობაში. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, ვისაც ჰქონდა მოხალისეობის გამოცდილება, ხშირად აცხადებენ, რომ მომავალშიც აპირებენ მოხალისეობრივი საქმიანობის გაგრძელებას, თუმცა, ეს, დიდწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენი დრო ექნებათ. დროის უქონლობის შემთხვევაში, მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ შაბათ-კვირას მაინც დაუთმობს მოხალისეობას. რაც შეეხება მოხალისეობის გაგრძელების მოტივებს, ასეთებად, ძირითადად, სახელდება:

- პიროვნული და პროფესიული განვითარების სურვილი;
- სხვების დახმარების სურვილი;
- საზოგადოებაში სხვადასხვა საკითხზე ცნობიერების ამაღლების სურვილი.

"მე ვაპირებ გავაგრძელო მოხალისეობა, მიუხედავად იმისა, რომ თუ დავიწყე სამსახურში მუშაობა, ვფიქრობ რომ შევათავსო [მოხალისეობა]... სფეროს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია დავეხმარო ადამიანებს და მოხლისეობრივი საქმიანობა განვახორციელო".

გორი, მოხალისე, დასაქმებული, კაცი, 23 წლის

ზოგადად, მოხალისეობრივ საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის მიზეზებზე საუბრისას, ძირითადად, სახელდება იგივე მიზეზები, რამაც განაპირობა თვითონ ფოკუს ჯგუფის მონაწილე სტუდენტების ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში. რაც შეეხება მოხალისეობრივ საქმიანობაში სტუდენტთა ჩაურთველობის მიზეზებს, როგორც მოხალისეობის გამოცდიელების მქონე, ისე ასეთი გამოცდილების არმქონე სტუდენტები ასეთად ასახელებენ შემდეგს:

- სიზარმაცე;
- მოხალისეობის შესაძლებლობებზე ინფორმაციის ნაკლებობა;
- მოხალისეებთან მომუშავე ორგანიზაციების პასიურობა;
- ცნობიერების დაბალი დონე (განსაკუთრებით მოხალისეობის უპირატესობებისა და მის შედეგად მიღებული სარგებლის შესახებ);
- მოტივაციის ნაკლებობა (განსაკუთრებით მატერიალური სარგებლის არქონიდან გამომდინარე);

- თავისუფალი დროის ნაკლებობა;
- პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების შიში;
- კომპლექსები, რომლებიც ბოჭავთ მათ და ხელს უშლით, რომ ჩაერთონ მოხალისეობრივ საქმიანობაში.

"...პირველ რიგში ალბათ არ აინტერესებთ, არ არის ეს მათი ინტერესის სფერო. მეორე - ეზარებათ და მესამე, უბრალოდ აი, მართლა [არჩევენ] იმუშაონ იქ, სადან მიიღებენ სარგებელს ფულადი სახით და არა უბრალო გამოცდილებით... კომპლექსის თემაც არის ზოგჯერ. იციან, მოსწონთ [მოხალისეობა], მაგრამ იმდენად კომპლექსიანები, თავიანთ თავში ჩაკეტილები [არიან], რომ ამის რეალიზაცია უჭირთ".

ზუგდიდი, მოხალისე, დასაქმებული, ქალი 20 წლის

როგორც თავად რესპონდენტები - როგორც მოხალისე, ისე არამოხალისე - აღნიშნავენ, ზოგადად, მოხალისეები ასე განსხვავდებიან არამოხალისე სტუდენტებისაგან :

- არიან უფრო აქტიური მოქალაქეები, უკეთ აქვთ გააზრებული თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა;
- გამოირჩევიან პასუხისმგებლობის გრძნობით;
- უკეთ იციან, თუ რისი კეთება სურთ მომავალში;
- მეტად აქვთ განვითარებული კომუნიკაციის უნარები;
- არიან უფრო დამოუკიდებლები, ერუდირებულები, ინფორმირებულები;
- აქვთ უფრო მეტის გაკეთების სურვილი;
- აქვთ დასაქმებისთვის საჭირო უარ-ჩვევები.

„[მოხალისეებს] უფრო მეტი შეხება აქვთ საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან, უფრო გაცნობიერებული აქვთ საკუთარი პასუხისმგებლობა, უფრო გაცნობიერებული აქვთ მომავალი, უკეთესად საზღვრავენ და გეგმავენ მერე საკუთარ მომავალს და უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება უგორვდებათ".

გორი, მოხალისე, დასაქმებელი, ქალი, 20 წლის

"მოხალისე სტუდენტი ... უფრო სხვანაირად ფიქრობს, უფრო სხვანაირად მსჯელობს, ანუ გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში უფრო გახსნილად არის და იცის მეტნაკლებად, რა არის საზოგადოებისთვის

კარგი და რა - არა, ანუ უფრო აქტიური[ა]... და მოსდის უფრო მეტი იდეები, უფრო მეტი რაღაც მსგავსი პროექტების შექმნა, რომ თუნდაც მოხალისეც სხვაც ჩართო".

ზუგდიდი , არამოხალისე ქალი, უმუშევარი 18 წლის

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს გაცნობიერებული აქვთ, რომ საქართველოში მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია როგორც სხვადასხვა ორგანიზაციის, ისე თავად მოქალაქეების აქტიურობა. მოხალისეების მოზიდვის თვალსაზრისით, როგორც მოხალისე, ისე არამოხალისე რესპონდენტები გამოყოფენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების როლს. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოხალისეების მიზიდვის აუცილებლობას. აღინიშნა, რომ მოხალისეობის ხელშეწყობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კარგი იქნება როგორც საზოგადოებისთვის, ასევე თვითონ ამ ორგანიზაციებისთვის. რაც შეეხება სამთავრობო უწყებებს, მათ, რესპონდენტების აზრით, მეტი გავლენა გააჩნიათ საზოგადოებაზე, შესაბამისად, მათი როლი მოხალისეების ჩართვაში მნიშვნელოვანია. ხაზი გაესვა მოქალაქეების აქტიურობის მნიშვნელობასაც, ისევე, როგორც მოხალისეების პასუხისმგებლობას, იზრუნონ მოქალქეების ჩართულობაზე მოხალისეობრივ საქმიანობებში.

„ყველა უნდა იყოს თავის გარკვეული დოზით ჩართული [მოხალისეობაში]...მაგრამ მარტო სახელმწიფოც ვერ გააკეთებს, ... გადაჯაჭვული უნდა იყოს საზოგადოებაც და არასამთავრობო ორგანიზაციები და თუნდაც სხვა ნებისმიერი ორგანიზაცია, დამოუკიდებლად მარტო ერთი ვერ გააკეთებს".

ზუგდიდი, არამოხალისე ქალი, უმუშევარი 23 წლის

„...როდესაც შენ გარშემო რაღაც არ მოგწონს, პირველ რიგში ... ცვლილებებისკენ შენ თუ არ გადადგი ნაბიჯი, შეიძლება სახელმწიფო ამ ყველაფერს სულაც ვერ ხედავს და ვერ გააკეთოს [ვერაფერი]. შეიძლება რომ რაღაც ინიცირება თავადაც გამოთქვა და შექმნა ჯგუფი, რომელიც ამ ყველაფერს გააკეთებს".

გორი, მოხალისე, დასაქმებელი, ქალი, 20 წლის

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა განიხილეს მოხალისეობის შესახებ კანონის არსებობის მნიშვნელობაც საქართველოში მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარებისთის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონზე საუბარი ხშირად იწვევდა გაუგებრობას ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს შორის, რადგან ხშირად ეს კანონი აღიქმებოდა, როგორც მოხალისეობის დამავალდებულებელი დოკუმენტი. მართალია, კანონი ცოტა ხნის წინ დამტკიცდა, ფოკუს

ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობას არ ჰქონდა ინფორმაცია მის შესახებ. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა უფრო აქტიური საინფორმაციო კამპანია მოხალისეებთან მომუშავე ორგანიზაციების მხრიდან, რათა საზოგადოებამ ადეკვატური ინფორმაიცია მიიღოს ამ კანონის შესახებ.

ზოგადად, მოხალისეობის შესახებ კანონის არსებობა დადებითად ფასდება. რესპონდენტების აზრით, რომელთაც, ძირითად შემთხვევაში, არ იცოდნენ თუ რას არეგულირებს მოხალისეობის შესახებ არსებული კანონი, კანონში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ასპექტები:

- განმარტებული უნდა იყოს მოხალისეობის ცნება;
- კანონი უნდა იცავდეს მოხალისეთა უფლებებს, რომ არ მოხდეს მოხალისეობრივი ძალის ბოროტად გამოყენება;
- აუცილებელია ასაკობრივი შეზღუდვების დაწესება (თუმცა არა აკრძალვა ასაკის საფუძველზე, არამედ მშობლის ნებართვის საფუძლევზე მოხალისეობა) და უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული რეგულაციების განსაზღვრა;
- ორგანიზაციებმა უდნა დაარეგულირონ მოხალისის კვებისა და მგზავრობის ხარჯების საკითხი;
- კანონმა უნდა დაარეგულიროს მოხალისისა თუ მოხალისის მიმღები ორგანიზაციის მოვალეობები/ვალდებულებები.

ფოკუს ჯგუფების მონაწილე სტუდენტებმა ისაუბრეს მოხალისეობის პოპულარიზაციის საკითხზეც. მათ მიერ დასახელებული პრობლემებიდან გამომდინარე, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მოხალისეობის პოპულარიზაცია აუცილებელია და რომ ქართველ სტუდენტებს შორის მოხალისეობის ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მოხალისეობის შესახებ ცოდნის დონის ამაღლება და აქტიური პიარ-კამპანია, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა წამახალისებელი აქტივობების განხორციელება (როგორიც შეიძლება იყოს მოხალისეთა დაჯილდოვება, მოხალისეთა ბანაკები და ა.შ.) და უფრო მეტი და უფრო მრავალფეროვანი მოხალისეობრივი აქტივობები (ხაზი გაესვა ასეთი აქტივობების სიმცირეს).

„ისეთი [რამ] უნდა იყოს, რაც სტიმულს მიცემს უბრალო ადამიანს მოხალისეობისკენ. აი, მაგალითად, ერთ-ერთი თვალნათელი საშუალება არის სიგელი, სიგელი რომ გადასცე. სიგელი ხომ ელემენტარული რაღაცაა, ყველას შეუძლია მაგის გადაცემა, მაგრამ პრეზიდენტის სიგელი თუ იქნება, ან რაიმე ... სხვანაირი სიგელი, იმას [მოხალისეს] უფრო დიდი სურვილი ექნება [გააგძელოს მოხალისეობა“.

თბილისი, მოხალისე, მამაკაცი, დასაქმებული,19 წლის

“... ცნობილი ადამიანი ვიღაც, რომელიც, ვთქვათ, ქალაქისთვის არის ცნობადი, ის ადამიანი უნდა ჩართო და ანუ ... უფრო ხალხი დაინტერესდება ამით, ასეთ ცნობილ ადამიანს რომ დაინახავს... ეს

ცნობილი ადამიანი რომ დაურიგებს მათ ფლაერს, ან ის რომ დაილაპარაკებს, უფრო მიაქცევს ხალხი ყურადღებას და უფრო კარგი 'პიარი' გამოვა".

ქუთაისი, არამოხალისე,დაუსაქმებელი, ქალი, 20 წლის

ინფორმაციის გავრცელება მოხალისეობის არსის, მნიშვნელობისა და შესაძლებლობების შესახებ ქართველ სტუდენტებს შორის, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით, ყველაზე ეფექტური იქნება შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

- სოცალური ქსელები;
- ორგანიზაციების საჯარო და პირისპირი შეხვედრები სტუდენტებთან;
- მოხალისეობის საინფორმაციო ცენტრები უნივერსიტეტებში;
- მოკლე ტექსტური შეტყობინებების (sms) საშუალებით სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება მოხალისეობრივი შესაძლებლობის შესახებ;
- სტუდენტური თვითმმართველობების გააქტიურება მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით.
- ვებ-გვერდი, სადაც კონცენტრირებული იქნება ინფორმაცია მოხალისეობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- სტუდენტების აქტიურობა მოხალისეობრივი გამოცდილების და მისი დადებითი მხარეების, ისევე, როგორც მოხალისეობის შესაძლებლობების შესახებ ერთმანეთში ინფორმაციის გასავრცელებლად;

„მოზარდების უმეტესობა ძალიან იშვიათად უყურებს ტელევიზორს. ტელევიზორს ვუყურე ბოლოს არც მახსოვს, როდის. მოზარდები ჩვენი ასაკის ძირითადად არიან... Facebook-ში. Facebook-იდან, სოციალური ქსელებით უფრო დიდ ინფორმაციას მიიღებს მოზარდი, ვიდრე ტელევიზორში. ტელევიზორს მან შეიძლება შეხედოს ნახევარი საათით, მაგრამ Facebook-ში ის სამი საათი იქნება."

თბილისი, მოხალისე, მამაკაცი, დასაქმებული,19 წლის

„თუნდაც უნივერსიტეტში, ნუ დაიპოსტება იმ ფეისბუქზე ხო, ყველას ხო არაა აქ, ზოგ ბავშვს არა აქ, მოკლედ ყველას არა აქ ინტერნეტი და ყოველდღე არ სარგებლობს, შეიძლება ის დღე არ შევიდეს და უკვე ჩამორჩენილი იყოს...ჯობია მოვიდნენ [უნივერსიტეტში] და გვითხრან".

გორი, არამოხალისე, ქალი, უმუშევარი, 19 წლის

შეიძლება ითქვას, რომ ფოკუს ჯგუფების მონაცემები ემთხვევა ზემოთ მიმუხილული კვლევების შედეგებს მოხალისეობის მნიშვნელობის შესახებ, ისევე, როგორც მისი

მნიშვნელობის შესახებ მოხალისის პიროვნული თუ პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. ფოკუს ჯგუფების მონაწილე, მოხალისეობის გამოცდილების მქონე სტუდენტები აცნობიერებენ, თუ რამდენი რამ შესძინა მათ მოხალისეობამ და რამდენი რამ შესძინეს მათ საზოგადოებას, განსაკუთრებით - სხვადასხვა საკითხზე ცნობიერების ამაღლების კუთხით.

დასკვნა

როგორც კვლევის ფარგლებში შესწავლილი ლიტერატურა მოწმობს, მოხალისეობა ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, იმდენად, რამდენადაც ზრდის სამოქალაქო ცნობიერებას და მოქალაქეთა სამოქალაქო აქტივობას და ეხმარება საზოგადოების წევრებს ერთმანეთთან? კავშირების დამყარებაში. მოხალისეობას ასევე აქვს უზარმაზარი ეკონომიკური მნიშვნელობა სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან მოხალისეთა შრომის მეშვეობით იზოგება დიდი ეკონომიკური რესურსი. გარდა ამისა, მოხალისეობრივი გამოცდილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოხალისის პიროვნულ თუ პროფესიულ განვითარებაში, ეხმარება მას პროფესიული უნარ–ჩვევების გამომუშავებაში, კავშრების დამყარებაში და, შესაბამისად, ზრდის მისი დასაქმების შანსებს. გამომდინარე აქედან, მოხლისეობის ხელშეწყობა და განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უშუალოდ მოქალაქეების პირადი სარგებლისთვის, არამედ, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის, განსაკუთრებით კი, დემოკრატიული განვითარებისთვის.

კვლევის მიზანი იყო იმ გზების იდენტიფიცირება, თუ რა შეუწყობს ხელს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შორის მოხალისეობის განვითარებას და რა მიმართულებით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოხალისეობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და იმპლემეტაცია. თუმცა, შემუშავებული რეკომენდაციები ითვალისწინებს არა მხოლოდ სტუდენტებში, არამედ ზოგადად ახალგაზრდებში მოხალისეობის განვითარების გზებს, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს ქვეყანაში მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარებას.

რეკომენდაციები

იმის გათვალისწინებით, რომ მოხალისეების მიერ შესრულებული სამუშაო ზოგავს სახელმწიფოს თუ სხვა არასახელმწიფოებრივი აქტორების ეკონომიკურ რესურსებს, და გამომდინარე რწმენიდან, რომ სახელმწიფოს შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს მოხალისეობრივი ძალა განვითარების მიზნების მისაღწევად, დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ რა შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ და არასამთავრობო სექტორმა იმისათვის, რომ განვითარდეს მოხალისეობის ინსტიტუტი საქართველოში.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში მოხალისეების შრომას იყენებს არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის - საერთაშორისო არასამთავროები (მაგალითად, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშრისო საზოგადოება, მშვიდობის კორპუსი, *ვორლდ ვიჟენი*), მთავრობას შეუძლია მათთან თანამშრომლობით მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა. სახელმწიფომ ძირითადი ინვესტიცია უნდა ჩადოს ადამიანურ რესურსში, რომ მოხდეს იმ არეალების განსაზღვრა, სადაც შესაძლებელი და ეფექტური იქნება მოხალისეობრივი ძალის გამოყენება, მოხალისეობის პოლიტიკის სწორად ჩამოყალიბება, განხორციელება და კოორდინირება, განსაკუთრებით კი საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება.

რეკომენდაციები სამთავრობო სექტორისთვის

საქართველოში მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარებისათვის საჭიროა სისტემური მიდგომა, შესაბამისად, იმისათვის, რომ მოხდეს ქართველ სტუდენტებში მოხალისეობის წახალისება და ხელშეწყობა და მოხალისეობრივი ძალის გამოყენება ქვეყნის განვითარებისთვის, საჭიროა მოხალისეობის ეროვნული პოლიტიკის შემუშავება. ძირითადი რეკომენდაციაა შეიქმნას **მოხალისეობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.** მიზანშეწონილი იქნება, რომ:

- სტრატეგიის აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ განისაზღვროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო;
- თითოეულმა სამინისტრომ განსაზღვროს სფეროები, რომელშიც შესაძლებელი იქნება მოხალისეების ძალის გამოყენება;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაში მოხალისეობის კომპონენტის ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში მოხალისეობის კომპონენტის ინტეგრირებით და მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის მოხალისეობრივი აქტივობების შეთავაზებით;

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების, სკოლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას;
- განისაზღვროს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების როლი მოხალისეობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში;
- რეგიონულ დონეზე დაარსდეს მოხალისეთა საინფორმაციო/რესურს ცენტრები;
- ხელი შეეწყოს ონლაინ მოხალისეობის განვითარებას;
- სახელმწიფო დონეზე აღინიშნოს მოხალისეობის საერთაშორისო დღე ან განისაზღვოს და აღინიშნოს მოხალისეობის ეროვნული დღე და შემუშავდეს მოხალისეთა დაჯილდოების ერთიანი ეროვნული სისტემა;

- დაიგეგმოს და განხორციელდეს სისტემური საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანია, როგორც ტრადიციული (ტელევიზია; რადიო; ადგილობრივი მედიასაშუალებები), ისე ონლაინ (სოციალური მედია; ვებ-გვერდები) მედიის საშუალებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის გავრცელებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც შეიძლება მოიცავდეს:
    - პირისპირ საინფორმაციო შეხვედრებს სკოლასა და უნივერსიტეტში;
    - საგანმანათლებლო რესურსცენტრების საშუალებით სკოლებში ინფორმაციის გავრცელებას;
    - უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებას;
    - სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო მეილისა და პირადი შეტყობინებების საშუალებით ინფორმაციის მიწოდებას.

რეკომენდაციები არასამთავრობო სექტორისთვის

გამომდინარე იქიდან, რომ მოხალისეობრივ ძალას, ძირითადად, იყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფოებიც, ხშირ შემთხვევაში, ეროვნულ მოხალისეობრივ პროგრამებს ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, როგორც ეს ზემოთხსენებული პროგრამის – „საქართველოს მოხალისის“ შემთხვევაშიც მოხდა, მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა საქართველოში მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარების პროცესში, კერძოდ - სტუდენტებს შორის მოხალისეობის პოპულარიზაციის მიზნით. იმისათვის, რომ ორგანიზაციულად განვითარდნენ და შეეძლოთ მოხალისეობის მართვა, არასამთავრობო სექტორისთვის

ძირითად რეკომენდაციას წარმოადგენს მოხალისეობის განვითარების შიდაორგანიზაციული სტრატეგიებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომელშიც მიზანშეწონილია შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

- საერთაშორისო და ეროვნულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მოხალისეობის მართვის გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- მრავალფეროვანი და უფრო მრავალრიცხოვანი მოხალისეობრივი პროგრამების შემუშავება;
- ონლაინ მოხალისეობის განვითარება.
- მოხალისეთა წახალისების (კონკურსები/ჯილდოები) მექანიზმების შემუშავება;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს სისტემური საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანია, როგორც ტრადიციული (ტელევიზია; რადიო; ადგილობრივი მედიასაშუალებები), ისე ონლაინ (სოციალური მედია; ვებ-გვერდები) მედიის საშუალებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის გავრცელებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც შეიძლება მოიცავდეს:
    - პირისპირ საინფორმაციო შეხვედრებს სკოლასა და უნივერსიტეტში;
    - საგანმანათლებლო რესურსცენტრების საშუალებით სკოლებში ინფორმაციის გავრცელებას;
    - უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებას;
    - სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო მეილისა და პირადი შეტყობინებების საშუალებით ინფორმაციის მიწოდებას.

ბიბლიოგრაფია

1. აბაშიძე, ა., აბაშიშვილი, გ. (2011). *სახელმწიფო პოლიტიკა მოხალისეობის სფეროში: ქართული კანონმდებლობა და საერთაშორისო პრაქტიკა.* თბილისი: EPF.
2. გაეროს ბავშვთა ფონდი. (2014). ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში: საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი. თბილისი: UNICEF.
3. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, CRRC–საქართველო. (2012). *მოხალისეობა საქართველოში: კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები.* თბილისი: EPF.
4. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, ჰელფინგ ჰენდი, CRRC–საქართველო. (2013). *ახალგაზრდების დამოკიდებულება მოხალისეობისადმი.* თბილისი: Helping Hand.
5. თავისუფლების ინსტიტუტი., ევროპის ფონდი. (2012). *მოხალისეობა - საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და საქართველოს კანონმდებლობის რეფორმა.*
6. ნაცვლიშვილი, ვ. (2011). *მოხალისეობა – საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო.* თბილისი: CSI, eed.
7. საქართველოს მთავრობა. (2014). *საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი.* საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.
8. საქართველოს პარლამენტი. (2015). *საქართველოს კანონი მოხალისეობის შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
9. CRRC–საქართველო. (2014). *2014 წლის ანგარიში სამოქალაქო ჩართულობის შესახებ.* თბილისი: G-PAC.
10. CRRC-საქართველო. (2016). *მოხალისეობა საქართველოში 2013-2015 წლებში: დამოკიდებულებები და პრაქტიკა.*
11. Agerhem, S., et al. (2007). *Taking Volunteers Seriously*. International Federation of Red Cross and Red Crescent Societies.
12. Barber, B. (1984). *Strong Democracy: Participatory Politics for a New Age.* University of California Press.
13. BCNL., ECNL. (2006). *Comparative Analysis of European Legal Systems and Practices Regarding Volunteering.* Sofia.
14. Conway, M., et al. (1996). *Democratic Socialization in Schools.* Democracy, Socialization and Conflicting Loyalties in East and West, 421-40.
15. Council of Europe. (2001). *Recommendation 1496 (2001) Improving the status and role of volunteers in society: a contribution by Parliamentary Assembly to the International Year of Volunteers 2001.*

16. Council of Europe. (1994). *Recommendation No R (94) 4 of the Committee of Ministers to Member States on the Promotion of a Voluntary Service.*
17. Ekiert, G., Foa, R. (2011). *Civil Society Weakness in Post-Communist Europe: A Preliminary Assessment.* Collegio Carlo Alberto.
18. European Parlieamnet. (2008). Report on the Role of Volunteering in Economic and Social Cohesion. EU: Committee on Regional Development.
19. Harkin, M. (2008). Report on the Role of Volunteering in Contributing to Economic and Social Cohesion. European Parliament.
20. GHK. (2010). *Volunteering in the European Union.* London: EAC-EA, DG EAC.
21. International Federation of Red Cross and Red Crescent Societies. (2011). *The Value of Volunteers.* Geneva.
22. International Federation of Red Cross and Red Crescent Societies. (2007). *Taking Volunteers Seriously: Progress Report 1999-2007.* Geneva.
23. International Federation of Red Cross and Red Crescent Societies. (2002). *Volunteering Pollicy: Implementation Guide.* Geneva.
24. Wilson, J., Musick, M. (2000). *The Effects of Volunteering on the Volunteer.* Law and Contemporary Problems, 62: 141-168.
25. Knoke, D. (1990). *Networks of Political Action: Toward Theory Construction*. Social Forces, 68: 1041- 1057.
26. Moesby, E. (2002). *Outcome of the International year of Volunteers and its follow up.* UN.
27. Nelson, T. (2005). *A Comparative Look at National Volunteerism Legislation.* IADB.
28. Parliament of Estonia. (2002). *Estonian Civil Society Development Concept. Tallinn.*
29. Powell, S. (2009). *Understanding Volunteerism for Development in South-Eastern Europe and the Commonwealth of the Independent States: Lessons for Expansion.* UNV, UNDP.
30. Putnam, R. (1995). *Bowling Alone: America's Declining Social Capital.* Journal of Democracy, 6, 1: 65-78.
31. Salmon, M., Sokolowski, S., Haddock, M. (2011). *Measuring the Value of Volunteer Work Globally: Concepts, Estimates and a Roadmap to Future.* Blackwell Publishing: Annals of Public and Cooperative Economics.
32. Sax, J. L., Astin, A. (1997). *The Benefits of Service: Evidence from Undergraduates.* Educational Record, 78: 25-32.
33. Stolle, D., Rochon, R. (1998). *Are All Associations Alike? Membership Diversity, Associational Type and the Creation of Social Capital*, American Behavioral Scientist, 42: 47-55.
34. UN Volunteers. (2015). *State of World's Volunteerism Report: Transforming Governance.* UNV.
35. UN Volunteers. (2011). *State of World's Volunteerism Report: Universal Values for Global Well-being.* UNV.

36. UN Volunteers. (2011). *Drafting and Implementing Volunteerism Laws and Policies: A Guidance Note.* UNV.
37. UN Volunteers. (2009). *Laws and Policies Affecting Volunteerism since 2001.* UNV.
38. UN Volunteers ., UNDP. (2005). *Developing a Volunteer Infrastructure: A Guidance Note.* UNDP.
39. Wuthnow, R. (1998). *Loose Connections: Joining together in America's Fragmented Communities.* Harvard University Press, 276.
40. Wu, H. (2011). *Social Impact of Volunteerism.* Points of Light Institute.
41. Youniss, J., et al. (1999). *The Role of Community Service in Identity Development: Normative, Unconventional, and Deviant Orientation.* Journal of Adolescence, 14, 248